

# საქართველო

თავისუფალი  
საქართველო

საერთოულის გაზეთი ორშაბათი 27 ნოემბერი 2006 №274 (2896)

ფასი 50 თეთრი



AFP ლოსანჯელისიდან



**აი, ქართველები!  
ჩვენ ეს გვინდოდა,  
გმაჯლობთ!**

# მწარე ბოსნიელები იაზვილმა გაიხსენა და უოთამ გაიხიროს



ლევან კობიაშვილის ილბლიანი სერია შეუწყდა

ზე ვეღარც იოცნებებს. „იაშიმ“ სრულად ითამაშა, ახალგაზრდობის რთულად ითარ ხიზანეიშვილი კი სათადარიგო იყო.

სამაგიეროდ, დავით სირაძის აუეა მოგების იშტაზე — ზედიზედ მეოთხედ იმარჯვა. ერცევიბირგელემა შინ „პადერბორნს“ 1:0 სძლიეს, სირაძემ 90 წუთი იბურთავა და თამაშის დასაწყისში ყვითელი ბარათი მიიღო. ქართველს ვოლის გატანის იდეალური მანსი 21-ე წუთზე ჰქონდა, მაგრამ მეკარემ აულო.

ინგლისურმა ტურმა ზურაბ ხიზანეიშვილის გარეშე ჩაიარა — „ბლექბერნის“ მატჩი სტუმრად „უოტფორდთან“ გადაიდო.

ხანგრძლივი ჩავარდნის შემდეგ მოიგო „მილანმა“ „მესინასთან“ (1:0) შეხვედრაში. კახა კალაძე სათადარიგოთა სკამზე იჯდა და, სავარაუდოდ, მომდევნო ტურში ძირითადში ითამაშებს — კახას ტრავმა ახალი მომუშაბული აქვს და, ეტყობა, კარლო ანჩელოტიმ მისი მინდორზე გაყვანა აღარ ვარისკა.

რუსეთის პრემიერლიგის ბოლო ტურში ქართველებს გამორჩეული არაფერი შეუმატებიათ, ამიტომაც, დიდხანს შეჩერება არც ღირს...

მეშვიდე საამსეზონო ერედვიეზიონული გოლი შეაგდო შოთა არველაძემ. „ალკმარი“ სტუმრად აგებდა „ჰერენვენთან“ და ქართველმა ბომბდამშენმა ანგარიში გაათანაბრა, ბოლო წუთებზე კი ლუის ვან გაალის გუნდმა ტყუპი გოლი გაიტანა, 3:1 მოიგო და მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

მესამე საფეხურზე კი გოგა გახოკიძის „ტვენტე“ წამოიჭიმა, მაგრამ რად გინდა — ენსხედელემა 2:0 აჯობეს, „ვიტესს“ და ჩვენთანს კვლავაც არ უთამაშია.

ილია ნანოზაშვილი

ლევან კობიაშვილმა პენალტი ვერ გაიტანა, მაგრამ „შალკემ“ მაინც მოიგო — „ბოსუმთან“ 2:1 მოგებამ „ხუმარები“ ბუნდესლიგაში დატოვა, კობი კი, ტრადიციული 90 წუთი გაატარა მინდორზე. რაც შეეხება პენალტს, ბოსუმელთა მეკარემ ჩვენთანს კუთხე გამოუცნო.

ქართველი ლეგიონის სამაბათკვირო ამბებს ვერმანიდანვე გავყვით, სადაც, როგორ იქნა, უგოლო სერია შეწყვიტა ალექსანდრე იაშვილმა. „ფრაიბურგის“ 9 ნომერმა „ოფენბახთან“ საშინაო შეხვედრაში 27-ე წუთზე 1:1 გახადა ანგარიში, თუმცა „ფრაიმ“ 1:3 წააგო და, ალბათ, ბუნდესლიგაში აღზევება-



შოთა არველაძემ ამ სეზონში მეშვიდე გოლი შეაგდო



საქართველოს

18

ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

1 ნოვ. 2006



გიორგი კახელიშვილის (მარჯვნივ) საგოლე თავური

## ოლიმპის ოლიმპი რუსთაში თავში მოექცა

რუსთაში. 26 ნოემბერი. 14 საათი. ფოლადი. 2 000 (ტევადობა 12 000)



ოლიმპი 1:0 გორკედო



1:0 კახელიშვილი (68)

**ოლიმპი:** მ. ალაფიძე, აფციაური, მახვილაძე, ქებაძე, კახელიშვილი, რ. ონიანი, გენაძე (ხოზონიშვილი 57), დვალისძე (გ. თოდუა 63), ხუბუა, გ. ონიანი, სეთურთიძე  
**სათადარიგო:** ნაჭყეაძე; მიმინოშვილი, ვ. კვარაცხელია  
**მწვრთნელი:** გიორგი კიკნაძე

**ტორპედო:** კოდალაძე, გამეზარდაშვილი, გოგია, გურული, გ. ჩხეტიანი, ზ. ჩხეტიანი (ბერუაშვილი 50), კრასოვსკი (მ. ლონაძე 64), ნიქარიშვილი, მუშკუდიაძე, დოლონაძე (ცეციტაია 46), ლაღაძე  
**სათადარიგო:** ქვიციანი; ა. კვერნაძე, ჭეიძი, ნ. ნადირაძე  
**მწვრთნელი:** რევაზ ძიძუაშვილი

**გაფრთხილება:** ზ. ჩხეტიანი (45), მახვილაძე (74), ქებაძე (86)

**მსაჯეები:** გ. ვადაჭკორია; გ. ჩიგოგიძე, ს. გაგნიძე; ზ. გურგენაძე

**დამკვირვებელი:** ო. რუხაძე, დელეგატი: შ. ბაქრაძე

### მიხეილ შორჭოლიანი

**ტორპედოელთა** მწვრთნელმა რევაზ ძიძუაშვილმა სასტარტო შემადგელობაში ორი თავდამსხმელი კი დააყენა, მაგრამ საწყის წუთებშივე ნათელი გახდა, რომ იმერლები ფრეზეც ყაბულს იქნებოდნენ.

მშვიდი ხუთწუთეულის შემდეგ „ოლიმპი“ „აფეთქდა“. თორნიკე აფციაურმა ჯერ რევაზ გენაძეს გადააწოდა პასი, შემდეგ — გიორგი კახელიშვილს, მაგრამ მასპინძლები ბოლო ფაზაში სცოდავენენ.

ტორპედოელთა კაპიტანმა დავით გამეზარდაშვილმა თანაგუნდელები შეაფუცხუნა და ქუთაისელთა დაცვა ისევ შედუღაბდა. პირველ ტაიმში „ოლიმპი“ ერთხელაც აფეთქდა — 26-ე წუთზე აფციაურმა მახვილგონივრული გადაცემა გაუკეთა კახელიშვილს, რომელმაც არაზუსტად დაარტყა. ორიოდ წუთში ვლადიმერ დვალისძემ სცადა გატანა, მაგრამ ბურთი ბესიკ კოდალაძის იოლი ნადავლი გახდა.


30-ე წუთზე „ტორპედო“ აშკარად გადარჩა — ექსტორპედოელ მიხეილ მახვილაძის 25 მეტრიდან დარტყმულ საჯარიმოს კოდალაძე-

მა თითები წაატანა და ბურთი ძელს მოხვდა, გამოვარდნილის კარში გადაგზავნა აფციაურმა და დვალისძემ სცადა, თუმცა არაზუსტად...

თითქოს „ოლიმპის“ შეტევებს გოლი მალე უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ რუსთაველები დაცხრნენ და კინაღამ დაისაჯნენ. „ტორპედოს“ იშვიათ კონტრშეტევას მანუჩარ წიქარიშვილმა არასწორი გაგრძელება მოუძებნა — ზურაბ მუშკუდიანს დროულად ვეღარ მიაწოდა...

მეორე ტაიმი რუსთაველთა უპირატესობით დაიწყო. 54-ე წუთზე ლევან ბერუაშვილი საჯარიმოს მისაღვამებთან შეცდა, ბურთი კახელიშვილს მიუვინა, რომლის უძლიერესად გასროლილი ხარიხამ აისხლიტა. სამ წუთში გენაძე-კახელიშვილ-დვალისძეების სამსვლიანი კომბინაცია უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ფორვარდმა გაურკვეველი მიმართულებით დაარტყა.

რუსთაველთა მწვრთნელმა გიორგი კიკნაძემ შეცვლებს მიმართა, მოედანზე ლერი ხოზონიშვილი დაგია თოდუა შეუშვა, რამაც შედეგი გამოიღო — 67-ე წუთზე კახელიშვილმა კარგი გადაცემა გაუკეთა თოდუას, მაგრამ გამეზარდაშ-



გიორგი კიკნაძის „ოლიმპი“ შემოდგომის ჩემპიონია

ვილმა თავგანწირვით ითამაშა და ბურთი კუთხურზე გადააგდო.

გასატანი მაინც გავიდა — თოდუამ და კახელიშვილმა როლები გაცვალეს, მარჯვენა ფლანგიდან თოდუას ჩაწოდებულს კახელიშვილი შორეულ ძელთან დაუხვდა და 1:0.

„ტორპედომ“ მეტოქის კარისკენ გაიწია, თუმცა რეალური ვერაფერი შექმნა. პირიქით, გატანა „ოლიმპს“ მართებდა...

### პრესკონფერენცია

**რევაზ ძიძუაშვილი:** ცუდი თამაში ნამდვილად არ ყოფილა, ორივე გუნდმა ბოლომდე იბრძოლა. ვულთაც „ოლიმპს“ პირველ ადგილს. ძალიან ახალგაზრდული და სიმპათიური გუნდია. თუ მეორე წრეში ფეხბურთელები მოუმატებენ, აშკარად უკეთეს ფეხბურთს ითამაშებენ.

**გიორგი კიკნაძე:** მაღლობა ბიჭებს, მაქსიმალურად მონინდომეს და გამარჯვების მოპოვება შეძლეს. სიმართლე ვითხრათ, ძალიან მეშინოდა „ტორპედოსი“, უფრო სწორად, მისი გამოცდილი მწვრთნელის. ძალიან სასიხარულოა, რომ შევეძლით და მოვიგეთ.

**რეკლამა**  
**სარკიელ-ში**  
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80



მცხეთა. 26 ნოემბერი. 14 საათი. არმაზი. 800 (ტელეფონი 3 000)

## ვიტ ჯორჯია 4:3 ამერი

<p>10 გელაშვილი (6), 2:0 დათუნაიშვილი (9), 2:1 ნინამღერიშვილი (16), 2:2 ტატანაშვილი (61), 2:3 დოლიძე (82), 3:3 კვახაძე (84), 4:3 დათუნაიშვილი (90)</p> <p><b>ვიტ ჯორჯია:</b> ბედიასვილი (მიტაბერიძე 70), დ. ლომია, კობიაშვილი, ა. კვახაძე, ჯაფარიძე, დიღმელაშვილი, ლ. რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, ფეიქრიშვილი (ლუჭაშვილი 76), გელაშვილი (ბერიაშვილი 78), გ. მელქაძე, სათადარიგო: კვარაცხელიძე, თ. ლონღაძე, ბეჭვაია, ადამაძე</p> <p><b>მწვრთნელი:</b> ნესტორ მუმლაძე</p>	<p><b>ამერი:</b> ქვაჩია, დ. მჭედლიშვილი (დეკანოსიძე 46), დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაძე, ჩიკვილაძე, ბოლქვაძე (გაბისკირია 78), ჯელოძე, დოლიძე, ტატანაშვილი, რ. ნინამღერიშვილი (სეფასტოპოლო 86)</p> <p><b>სათადარიგო:</b> ლ. ნადირაშვილი, კედელაშვილი, გვაძამია, სილაგავა</p> <p><b>მწვრთნელი:</b> გიორგი ჩიხრაძე</p>
<b>ბაზრისნიშნები:</b> ელბაძე (33), რაზმაძე (42), ჩიკვილაძე (44), დიღმელაშვილი (75)	
<b>მსაჯენი:</b> მ. ბუქლიშვილი; ლ. მიქელაძე, ლ. თოდრია; დ. ხარტიანიშვილი	
<b>დამამხრამხრები:</b> ს. კოტრიკაძე; <b>დამამხრამხრები:</b> მ. ბურჯალიანი	

# ნაღმა-უკუღმას ტრიპლი: იბეზდა, აბეზდა, მოიგო



„ვიტ ჯორჯია“ ფაქტობრივად წაგებული თამაში ჯერ გაათანაბრა, მერე მოიგო

### ილია ნანოშვილი მცხეთიდან

**საიდან** დავიწყეთ? გიორგი დათუნაიშვილის გადამწყვეტი გოლით თუ ტრაფარეტულად, თანმიმდევრულად?

საიდანაც უნდა დავიწყეთ, ვერსად გავუქცევით იმას, რომ ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე, ძალიან კარგი მატჩი გამოვიდა. აქ მართლაც შეიძლება გატანილ ბურთზე არაა ლაპარაკი — იყო ყველაფერი ის, რაც ფეხბურთს უხდება, გინდ თამაშის შემოტრიალება (თანაც ორივე მხრიდან), გინდ ბრძოლა და ჟინი, გინდ კურიოზული გოლი, გინდ ლამაზი კომბინაციები... უბრალოდ, ერთ რამეზე დაგვწყდა გული: მინდორი რომ ხეირიანი ყოფილიყო, გაცილებით ეშხიან თამაშს ვნახავდით...

მე-9 წუთი იყო, ამერელთა შეტევა „ვიტ ჯორჯიას“ საჯარიმო სთან ჩაიშალა, მასპინძელთა სულმა და გულმა დავით დიღმელაშვილმა ჩინებული გრძელი პასი გაუჭრა ნიკა გელაშვილს, რომელსაც ვახტანგ ხვადაგიანმა ხელი ვერ შეუშალა და 1:0.

„ყვითლებმა“ იმწუთშივე გაიწიეს გასათანაბრებლად, დიმიტრი ტატანაშვილმა და რატი წინამღერიშვილმა ელვისებურად გაითამაშეს ბურთი; რატი მეკარის ბაქანთან იღვა, მაგრამ არც ჩაწოდება გამოუვიდა და არც დარტყმა.

აქეთ კი „ვიტ ჯორჯიამ“ მეორე ისარი ესროლა სტუმარს: მე-9 წუთზე ისევ დიღმელაშვილმა დაიწყო შეტევა, დავით ლომიამ ფლანგიდან ჩააწოდა, გიორგი მელქაძემ აუტის ხაზიდან შემოატრიალა ბურთი და სანამ „ამერის“ დაცვა აქეთიქით იფურებოდა, გიორგი დათუნაიშვილმა ხუთიოდ მეტრიდან ბურთს ბადეში მიუჩინა ადგილი — 2:0.

როგორ ჰვავდა ეს სცენარი ერთი კვირის წინანდელ „ამერი“ — „ოლიმპს“. გიორგი ჩიხრაძის გუნდმა მაშინაც ორი სწრაფი გოლი გაუშვა და... დავით ბოლქვაძემ ვიტელთა დაცვა ერთი პასით გაჭრა, წინამღერიშვილი გრიგოლ ბედიასვილთან პირისპირ გავიდა, მეკარე კარიდან გამოიტყუა და ინტრიგა გააღვიძა — 2:1 და მთელი თამაში წინაა...

ასეთი ელვა-დასაწყისი ჰქონდა ტურის მთავარმატჩს, რომელსაც ორივე გუნდი დანაკლისით შეხვდა. ვიტელთა გუნდს პაატა დათუნაიშვილი და ოლეგ გველეხიანი აკლდათ, ამერელებს — სულიკო დავითაშვილი, დენის დობროვოლსკი და ვივი დიდავა.

გიორგი ჩიხრაძემ, სხვა გზა რომ არ იყო, ნახევარდაცვის საყრდენად თენგიზ ჩიკვილაძე დააყენა, თუმცა მეორე ტაიმიდან გიორგი დეკანოსიძე შეიყვანა და მარჯვენა მცველ დავით მჭედლიშვილს სწორედ ჩიკვილაძე შეუნაცვლა. ამ ცვლილებამ „ამერს“ არგო, რაკილა მჭედ-

ლიშვილს შესვენებამდე რამდენჯერმე გაუძვრნენ ვიტელები, რის გამოც გრიგოლ დოლიძეს უკანდახვევა და დაცვის დახმარება უხდებოდა, მეორე ნახევარში კი ასე აღარ იყო — პირიქით, „ყვითლების“ ორივე გოლი დოლიძის ფლანგიდან გაკეთდა.

მანამდე მოკლედ საპირველტაიმო ამბები: წინამღერიშვილის გოლის შემდეგ დიდად სახიფათო მომენტი არც ერთ კართან არ შექმნილა.

დეკანოსიძის შესვლამ ჩიხრაძის გუნდი გადააწყვო, მაგრამ არც „ვიტ ჯორჯია“ თმობდა უპირატესობას, აქტიურ გიორგი ფეიქრიშვილს გიორგი მელქაძემაც აუბა მხარი, მასპინძლები უფრო ფლანგებიდან უტევენდნენ.

დიღმელაშვილმა ისევ მონახა გელაშვილი და ქვაჩიას ფეხით რომ არ მოეგერიებინა, პირველი გოლის ალი-კვალი გამოდნებოდა. სადღაც 55-ე წუთიდან კი „ამერ-

მა“ „პირველი ნომრობა“ დაისაკუთრა, ჯერ ტატანაშვილის დარტყმული ძლივს გამოაძრო ბედიასვილმა, მერე კი დეკანოსიძის ყუმბარა ასცდა კარს.

და გოლი: ჩაუქად მოთამაშე ტატანაშვილი დოლიძის პასით კიდევ ერთხელ შეეყარა ბედიასვილს, მეკარემ პირველ ჯერზე კი მოიგერია, მაგრამ ბურთი ისევ ტატანაშვილმა მოიხელთა და ცარიელ კარში შეაგლო — 2:2.

აქ კი წავიდა თამაში, თქვენი მოწონებული...

„ამერი“ კიდევ უტევედა, თუმცა საკოლე შანსი კარგა ხანს აღარ მისცემია, ვიტელთაგან კი გამოსარჩევი იყო ლუკა რაზმაძისა და გელაშვილის აცილებული, ასევე დათუნაიშვილის არჩათვლილი გოლი.

ისე ჩანდა, 2:2-ს დიდი დღე არ ეწერა, ბურთი რომელიღაც კარში უნდა აფართხალბულიყო და აფართხალდა კიდევ: დოლიძემ და ტატანაშვილმა კედელ-კედელ ათამა-

შეს ბურთი, ბოლო დარტყმა კი დოლიძისა იყო და „ამერი“ დაწინაურდა!

დავიჯეროთ, „ყვითლებმა“ მოთავებულად ჩათვალეს საქმე? ვერ დავიკრებთ, მაგრამ უფრო ქვაჩიასის შეცდომას უნდა მივაწეროთ მოტრიალებული თამაშის უკულმა შეტრიალება: ალექსანდრე კვახაძე 35 მეტრიდან აწვდიდა თუ არტყამდა, რაც, ალბათ, მხოლოდ მან იცის, ფაქტი კი ისაა, რომ გოლი გავიდა — 3:3.

წასაგებად ორივე გუნდი ცოლო იყო, მაგრამ „ვიტ ჯორჯიას“ გამარჯვება ნაღად რომ ალალა, მსაჯმა ოთხი წუთი დაამატა და, ის დროც მთავრდებოდა, როცა დიღმელაშვილის ჩაწოდებულზე ვიტელთაგან საპაერო ბრძოლა მოიგეს, ბურთი დათუნაიშვილს მიუვიდა, ვისაც გუშინ გადამწყვეტი გოლის გატანა ეწერა — 4:3. „პატარა ჯენარო“ საყრდენი ნახევარმცველია და უკვე 7 გოლი მიითვალა ამ სეზონში...



გადიანი კამერის ფოტო

გადიანი კამერის ფოტო






# ლაზიზი და საში ქულა

თბილისი. 26 ნოემბერი. 14 საათი. მიხეილ მისხი. 150 (ტევადობა 25 600)

## ლოკომოტივი 1:0 კახეთი

10 ალავერდაშვილი (39)	
ლოკომოტივი: გვარამაძე, თუბერძე, გ. კვხაძე, კუბრეიშვილი, ბახტაძე (ალავერდაშვილი 18; მზეიძე 46), დ. ფოფხაძე, ბარბაქაძე, გულორდავა, მ. ჟღერტი, ვ. გოჩიაშვილი, ცხომარია (ჩივაძე 64) სათადარიგონი: მიგინიძე; ყიფიანი, დვისაძე, ებანოიძე	კახეთი: ცინაძე, ლომიძე, კობაიძე, მურველაშვილი, კვიციანი (გერგიშვილი 18; ცისკარიშვილი 89), ბიძინაშვილი, იმერლიშვილი, კველიშვილი, ნ. დავითაშვილი, ტყეშელაშვილი (სიდაშვილი 56), ძამუკაშვილი სათადარიგონი: ქუფარაშვილი; ა. ბურნაძე, ვ. არუდაშვილი
ბაზრტხილვა: გოჩიაშვილი (28), ძამუკაშვილი (68), კუბრეიშვილი (72), კველიშვილი (89)	
მსაჯეები: ლ. სილაგავა; გ. ურუშაძე, ზ. ჯვარიძე; ა. გუნთაძე	
დამამხრებელი: ა. კახიანი; დილბატი: ნ. კაკულია	



გიორგი ალავერდაშვილი ტრავმამდა შეაჩერა

ფოტო: ირაკლი კახიანი

### ოთარ მალაქაძე

**რკინიგზელთა** ფორვარდმა გიორგი ალავერდაშვილმა პირველი წრე გოლით და მძიმე ტრავმით დაასრულა — სწორედ მისი მოედანზე ყოფნის 25-წუთიან მონაკვეთში დაჩაგრა „ლოკომოტივმა“ აუტსაიდერი „კახეთი“.

„სამქულიანი ფორვარდი“ თამაშში მე-18 წუთზე ჩაერთო, ტრავმირებული ბახტაძის ნაცვლად და ხუთიოდ წუთში პირველი სავოლდე

მანსიც მიეცა. მიხეილ ჟღერტიან გათამაშებული კედელი დაახლოებით საპენალტე ნიშნულიდან დარტყმით დაასრულა, მაგრამ კარს გადააცილა. ცოტა ხანში კი სამ თელაველ მცველს შორის მოქცეულმა სულ რაღაც ათ წამში სამჯერ დაარტყა — პირველ ორს სტუმრები გადამფარნენ, ხოლო მესამემ კარის ბაღე გარედან შეარხია.

ანგარიში ტაიმის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე გაიხსნა. ალა-

ვერდაშვილმა მეკარეს აუღებელი იმავე ადგილიდან დაურტყა, საიდანაც თხუთმეტი წუთის წინ ააცილა. საგოლე კომბინაცია ჟღერტის ფლანგური რეიდით და ჩაწოდებით დაიწყო — მასპინძლებს მეგობრული 43-ე წუთზე დაუშვდა და შესვენებამდე კაცნაკლულებმა ითამაშეს. ლოკომოტიველებს ჯერ კიდევ ეიმედებოდათ, რომ ალავერდაშვილი მომჯობინდებოდა, მაგრამ იგი შეხვედრის განახლებამდე არათუ გამოკეთდა, არამედ საავადმე-

ოფოში გადაყვანა დასჭირდა. მოგვიანებით კი „ლოკოს“ ბანაკიდან მავანმა დიაგნოზიც გამოიტანა, ალავერდაშვილმა ლავიწი გაიტეხაო. რამდენიმე სახიფათო მომენტში დარჩენილ 45 წუთშიც შეიქმნა, თუმცა იქამდე პირველი ტაიმის სამ ეპიზოდსაც ვახსენებთ, მათგან ორი „კახეთისა“ იყო — ორჯერვე ძამუკაშვილს უნდა გაეტანა, მაგრამ მცველებმა ბოლო მომენტში იფრადეს. ხოლო მასპინძელ გულორდავას გიორგი ცინაძემ არ გაატანინა.

მეორე ტაიმში ისევ გულორდავამ გაანიავა ანგარიშის გაზრდის ორი ურეალურესი შანსი. ჯერ იყო და, 64-ე წუთზე საჯარომოს კუთხიდან შორეულ ცხრიანს სანტიმეტრებით ააცილა, ხოლო მე-80 წუთზე მეკარის პირისპირ დარჩენილმა ველარ დაუმიზნა კარს.

ბოლო ხიფათი „კახეთმა“ შექმნა — ნიკოლოზ დავითაშვილმა ძამუკაშვილი რკინიგზელთა გოლკეპერ დავით გვარამაძეს შეატოვა, გამარჯვებული გვარამაძე დარჩა...

# სიონის სიოე კამერუნეიდან დაუბერა



ერიკ რომეო ჩასემა პირველი ქართულ-კამერუნული ჰეთ თრიტი შეასრულა

### დავით თავართილაძე

**კამერუნელი** ერიკ რომეო ჩასემა პირველი აფრიკელი შეიქმნა, საქართველოს ჩემპიონატში ჰეთ თრიტი რომ შეასრულა. ჩასემა „მერანს“ მესამე გოლი პენალტით გაუტანა — მიმდინარე სეზონში ბოლნისელებისთვის ეს პირველი 11-მეტრიანი იყო. „მერანმა“ კი ზედიზედ მეორე პენალტი გააცუდა — ოთხი დღის წინ ეს გუნდები თასზე შეხვედნენ ერთმანეთს და მასინ ილია ქემაშვილმა ააცილა ბურთი 11-მეტრიდან „სიონის“ კარს.

გუშინ იგივე გააკეთა ვალერი გაგუამაც, თუმც მას რომც გაეტანა, ძალიან ძნელი სათქმელია, სულ სხვაგვარად წარიმართებოდა მატჩი თუ არა — ბოლნისელებმა გუშინ პირვინდად აჯობეს მერანელებს.

მატჩის პირველ წამებზე ჩასემის თანამემამულე ევოჩეს მართებდა გატანა, მაგრამ ახლოდან მიზანმა უმტყუნა. მერანელებმა მალევე უპასუხეს მეტოქეს, მაგრამ, როგორც უკვე გაუწყეთ, სიზუსტემ გაგუაც დააღალატა.

„სიონს“ კი პირველ გოლამდე ორჯერ შეეძლო ეხერია — ჯერ არჩილ ალავიძის ჯარიმა მოიგერია კონსტანტინე სეფიაშვილმა და დამატებაზე მიხილ კობაურმა ვერ იფრანდა, მერე ჩასემა აღმოჩნდა „მერანის“ მეკარესთან პირისპირ და გოლკეპერს ველარ აჯობა.

ბოლნისელთა უპირატესობა ღვივდებოდა და მოსახდენიც მოხდა — ევოჩეს პასით ჩასემა კამერუნული კომბინაცია უნაკლოდ დაასრულა — 0:1.

ისეთი თამაში იყო, შესვენების შემდეგ „მერანის“ აფეთქებას ვერ იწინასწარმეტყველებდით, გაშვებულმა გოლმა „მერანი“ თითქოს ფსიქოლოგიურად გატეხა.

„სიონი“ მეორე 45 წუთში უფრო გახსნილად, თამამად თამაშობდა, მეორე გოლიც მალევე გაიტანა — საგოლე პასი ჩასემს ამჯერაზე ალავიძემ უბოძა.

მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, არ ჩანდა ნიშან-წყალი იმისა, რომ თამაში შეტრუნდებოდა.

კარგად ჩაერთო თამაშში გიორგი კვიციანიშვილი, რომლის ჟინმა და ახალმა ენერჯიამ 11-მეტრიანი მოუპოვა „სიონს“ და ჩასემაც გოლები გაასამა.

შეხვედრის ბოლო წუთებზე „სი-


თბილისი. 26 ნოემბერი. 14 საათი. შავარდენი. 200 (ტევადობა 2 000)

## მერანი 0:3 სიონი

0:1, 0:2, 0:3 ჩასემა (38, 49, 77ჰ)	
გაგუამ ვერ გაიტანა პენალტი (5)	
მერანი: სეფიაშვილი, თ. მჭედლიშვილი, ჯანგიძე, თურქია, ოსიტაშვილი (ქორიძე 66), ბესარიაშვილი, კობერიძე (ბეჟანიშვილი 70), გაგუა, ფურთუხია (ლ. მანკავა 46), კარსანიძე, ქემაშვილი სათადარიგონი: გლუნაძე; დათუნაშვილი, ლ. კვარაცხელია, ნეფარიძე	სიონი: ბობლიაშვილი, კობაური, ზ. ჭელიძე, ჭიჭვიშვილი, რაქვიაშვილი, ვ. უგრესელიძე (კვიციანიშვილი 75), ოქრობერიძე, ლ. ბაჯელიძე, ა. ალავიძე, ჩასემა (ქურასხედიანი 80), ევოჩე (ბ. ცხადაძე 59) სათადარიგონი: ბათიაშვილი; სვანიძე, შავგულიძე
მწვრთნელი: დავით ეჯიბიშვილი	მწვრთნელი: გიორგი ყიფშიძე
ბაზრტხილვა: კობაური (35), კარსანიძე (46)	
მსაჯეები: ლ. დანიშვილი; ზ. მენთუშვილი, ვ. გუდურაშვილი; შ. ქუხილავა	
დამამხრებელი: ს. კუტივაძე; დილბატი: შ. ხინჩაგაშვილი	

ნული კომბინაცია უნაკლოდ დაასრულა — 0:1.	ონს“ უპირატესობის გაზრდაც შეეძლო, მაგრამ მურმან ქურასხედიანმა ორი კარგი მომენტი გაუშვა ხელიდან.
ოლიმპი	13 10 2 1 32:5 32
ვიტ ჯორჯია	13 9 3 1 30:16 30
აქრო	13 9 3 1 28:8 30
ხესტაფონი	13 9 3 1 22:3 30
ლინამო	13 9 0 4 24:11 27
ტოროველო	13 7 3 3 16:8 24
სიონი	13 7 2 4 19:10 23
ლოკომოტივი	13 4 2 7 10:17 14
ბორჯომი	13 3 3 7 15:25 12
მერანი	13 3 2 8 9:26 11
ჩიხურა	13 2 4 7 10:22 10
ბათუმი	13 2 3 8 10:14 9
დილა	13 0 3 10 6:38 3
კახეთი	13 0 1 12 9:37 1

ბათუმი დინამო დამარცხდა



ბათუმი. 26 ნოემბერი. 14 საათი. დინამო. 400 (ტევადობა 5 000)

ბათუმი 1:3 დინამო

10 კუნჭულია (55), 11 გ. კაშია (61), 12, 13 ბობოხიძე (81, 84)

იაშივილი ვერ გაიტანა პენალტი (45, ააცილა)

ბათუმი: სომხიშვილი, ჯანელიძე, ქორიძე, გალოგრი, მახარაძე, კუნჭულია (ფარტენაძე 62), ცანავა (გოგიტიძე 58), ა. ბაჯელიძე, ოქრუაშვილი, ბეჟანიძე, ტულუში (შავლიძე 51) სათადარიგო: ბექთაშვილი, ჯინჭარაძე, ნაჭყებია მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

დინამო: გრიშკაშვილი, შ. კაშია, გ. კაშია, გიგაური, აკოპია, ხმალაძე, გ. მერებაშვილი (ლ. ნოზაძე 58), ს. კობახიძე, ხუციშვილი (დ. ოდიკაძე 76), დვალი (ბობოხიძე 46), ს. იაშივილი სათადარიგო: სტურუა, თომაშვილი, ჩირიკაშვილი, ნერგაძე მწვრთნელი: დუშან უპრინი

გაწვრთნის: ბაჯელიძე (11), შ. კაშია (13), ხმალაძე (39), ჯანელიძე (45), მახარაძე (50), გრიშკაშვილი (89)

მსაჯემი: ლ. კვარაცხელია; ნ. რუსიშვილი, ზ. ფიფია; ჯ. ბუიშვილი

დამაკვირვებელი: ზ. პეტრიაშვილი; დელეგატი: ო. გუნთაძე

გიორგი მურვანიძე ბათუმიდან

მს „ბათუმის“ ბოლო თამაში იყო „დინამოს“ სტადიონზე. ახლა, როცა ამ სტრიქონებს კითხულობთ, სტადიონი უკვე დანგრეულია... სად ითამაშებს „ბათუმი“ მომავალი სეზონიდან, ჯერ გაურკვეველია. ისე კი, „ბათუმის“ ყველა გულშემატკივრისთვის საწყენია ამ სტადიონის დანგრევა — „ბათუმი“ მოკვდა! ასეთი შემახილები გაიხსოვდა ტრიბუნებიდან... „ბათუმის“ მთავარმა მწვრთნელმა

ამირან გოგიტიძემ ექსპერიმენტული შემადგენლობა გაიყვანა. პირველი დასამახსოვრებელი სახითაო შეტევა მასპინძლებმა განახორციელეს. ვასილ კუნჭულია მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა, საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ტულუშმა მიიღო, დაარტყა, მაგრამ მეკარემ ივარცა. მომდევნო შეტევას მთელი ტაიმი ველოდით. 45-ე წუთზე სანდრო კობახიძემ ბათუმელთა ორი მცველი იოლად ჩამოიშორა, საჯარიმოში შეიჭრა, თუმცა კარში და-

რტყმა არჩილ ბაჯელიძემ არ დაინება და... წესების დარღვევით შეაჩერა. მსაჯემაც თერთმეტმეტრიანის ნიშნულზე მიუთითა — დასარტყელად სანდრო იაშივილი მოემზადა, მაგრამ კარს ააცილა.

მეორე ტაიმი ბათუმელების აქტიურობით დაიწყო და ამას გოლიც მოჰყვა — 58-ე წუთზე ოქრუაშვილმა უმეტესაწილად დარჩენილი კუნჭულია შენიშნა და ზუსტი გადაცემა გაუკეთა. ვასომ ბურთი მიიღო, დაარტყა და 1:0.

ბათუმელთა ხანმოკლე სიხარული მე-60 წუთზე დასრულდა — გურამ კაშიამ მიხეილ ბობოხიძის პასით იხეირა.

78-ე წუთზე ბათუმელმა მახარაძემ ტრავმა მიიღო და თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო. მის ნაცვლად სხვა ფეხბურთელის გამოშვება კი ამირან გოგიტიძეს არ შეეძლო, რადგან სამივე ცვლილება გამოყენებული ჰქონდა.

ათი კაცით მოთამაშე მასპინძლებს ანგარიშის შენარჩუნება გაუჭირდათ. დინამოელებმა 81-ე წუთზე იფორაღეს — ლაშა ნოზაძის თავური პასი ბობოხიძემ შეიგო — 1:2.

ამის მსგავსი გამოდგა მომდევნო შეტევა — კობახიძემ ისევ ნოზაძეს უპასა, ნოზაძემ კი — ბობოხიძეს და 1:3.

ჩისურა 1:1 დილა
10 მანკავა (40), 11 ვაჩიშვილი (68)
ჩისურა: მამალაძე, მემარნიშვილი, ლ. მერებაშვილი, ს. ბურნაძე, თედორაძე, ბუცხრიკიძე, მესხი, გ. მანკავა (სულთანშვილი 46), ჩომახიძე (სტეფანიშვილი 46), მიქაძე, კაკალაძე (ლ. ვაშაკიძე 55) სათადარიგო: დოლაძე, ბრეგვაძე, თავბერიძე, გვეტაძე მწვრთნელი: სვიჩა ქასრაშვილი
დილა: კეჩუაშვილი, მასურაშვილი, ბალიაშვილი, სადალაშვილი, ვაჩიშვილი, ტლაშაძე, აბრამიშვილი, ა. ლაბაძე (მინანაშვილი 79), გ. წინამძღვრიშვილი, მინარიშვილი (ქავთარაძე 50), ოლგესაშვილი (ვარდოსანიძე 53) სათადარიგო: ფაღულაშვილი; ხოსრუაშვილი, კურტანიძე, სომხიშვილი მწვრთნელი: რევაზ მამესწარაშვილი
მსაჯემი: დ. სანაია; ა. კოკია, ს. სხივინი; თ. ხუჭუა
დამაკვირვებელი: მ. ჭელიძე; დელეგატი: გ. კიტაშვილი

მს რა დილა ბათუნიდა...

ოთარ აბასაძე საჩხერიდან

მოულოდნელი შედეგით დასრულდა საჩხერეში „ჩისურას“ და გორის „დილას“ მატჩი...

გორელებს, მეონი, არც კი ახსოვთ, ბოლოს როდის აიღეს ხელფასი, საჩხერელებს კი ამ მხრივ საწუწუნო არაფერი აქვთ.

რაც შეეხება მატჩს, „ჩისურა“ ზედმეტად თავდაჯერებული გავიდა სათამაშოდ და დასაჯა კიდევ: ეგონა, რომ „დილას“ იოლად დაამარცხებდა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

ზანტად მოთამაშე მასპინძლებმა გოლი მე-40 წუთზე გაიტანეს — მიხეილ კაკალაძემ ადვილად ჩამოიცილა მცველი და გამოზომილი გადაცემა მიაწოდა გიორგი მანკავას, რომელსაც გოლის გატანა აღარ გასჭირვებია.

გოლამდე კი კაკალაძემ და მიქაძემ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გაატანეს ქარს.

მეორე ნახევარში მასპინძლებმა ოდნავ მოუმატეს ტემპს. მიქაძემ ჯერ ნიკოლოზ სტეფანიშვილის პასი ვერ შეიგო, შემდეგ კი საბასულთანშვილის გადაცემით ვერ დააგვირგვინა სათანადოდ.

გორელებმა კარის მიმართულებით ერთადერთხელ 68-ე წუთზე დაარტყეს და ისიც გაიტანეს — ზურაბ მამალაძეს მარცხენა დაბალ კუთხეში კახა ვაჩიშვილმა გაუტანა.

საჩხერელებმა ქულის დაკარგვის საფრთხე იგრძნეს და უკანმოუხედავად შეუტყეს, თუმცა ამოღ — ბესიკ კეჩუაშვილმა ორჯერ აულო სანდრო ბურნაძეს. მოგვიანებით იმავე ბურნაძემ ქუსლით კარგად უპასა მიქაძეს, მაგრამ...

ზესტაფონი მშრალ რეკორდს გააჩიდა

ზესტაფონი. 26 ნოემბერი. 14 საათი. ცენტრალური. 4000 (ტევადობა 10 000)

ზესტაფონი 4:0 ბორჯომი

10 ჭელიძე (16), 2:0 ლონდაძე (20), 3:0, 4:0 იონანიძე (40, 59)

ზესტაფონი: ჭანტურია, ე. საჯაია, შ. ლონდაძე (ძამსაშვილი 61), გ. ჩხეტიანი, ს. თოდუა, ნ. კვასხვაძე (ბ. ნოზაძე 67), განუგრაფა, გ. ჭელიძე, ვიეირა, ფიფია, იონანიძე (გოცირიძე 74) სათადარიგო: რ. კვასხვაძე; იმედაძე, სანტოსი, ხიდუშელი მწვრთნელი: თემურ მახარაძე

ბორჯომი: შეფრილაძე, სუხიაშვილი (ტალახაძე 73), ბაქრაძე, ქარქუაშვილი, ლომიძე, ბენდელიანი, გოგიაშვილი, ნეში, თედიაშვილი (შონგი 85), მოდებაძე (ნასყიდაშვილი 85), შ. ჯიქია სათადარიგო: აგ. ლაბაძე; მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

გაწვრთნის: ჭელიძე (8), ჯიქია (26), ბენდელიანი (58), ბაქრაძე (78)

მსაჯემი: ვ. ელისაბედაშვილი; გ. გაბრიაძე, გ. ყრუაშვილი; დ. კურტანიძე

დამაკვირვებელი: ა. შალამბერიძე; დელეგატი: გ. თავაძე

გორა ჯანაშია ზესტაფონიდან

„ზესტაფონის“ ამბიციიდან გამომდინარე, ადვილი წარმოსადგენი იყო, რომ იმერლები პირველ წრეს მაჟორულ ნოტაზე დაასრულებდნენ და აი, გუმინ მიჯრით მეცხრე გოლგაუშეველი მატჩი ჩაატარეს — გრიგოლ ჭანტურაიმ უკვე 810 წუთი შეინახა მშრალად კარი... „ზესტაფონმა“ მწვავედ კი შეუტია, მაგრამ პირველი ხიფათი სტუ-

მარი გოგიჩაშვილის დარტყმას მოჰყვა. მალე ფეროელებმა ზედიზედ ორი გოლი გაჩარხეს და ორივე ერთმანეთის ტყუპისცალი. ორჯერვე მარჯვნიდან ვიეირას კუთხურს მოჰყვა საგოლე თავურები — ჯერ ტანმორჩილმა გიორგი ჭელიძემ იფორადა, მერე კი შალვა ლონდაძემ... ამ გოლებმა მასპინძლები მოადუნა, მეტოქეს მეტი ვასაქანი მისცეს და ბურთსაც ძირითადად სტუმრები

აკონტროლებდნენ, თუმცა ორი შორეული დარტყმის გარდა ბორჯომელებს არანაირი ხიფათი არ შეუქმნიათ. მათგან მხოლოდ შოთა ჯიქია გამოირჩეოდა, ბევრიც იბრძოლა, მაგრამ მარტომ ვერაფერი გააწყო.

ტაიმის ბოლოს ფეროელები ისევ ათამაშდნენ და სულ მალე ისევ იფორაღეს. ისევ ვიეირამ ივარცა — კარგად შეაყოლა ბურთი საჯარიმოში შერბენილ გიორგი განუგრავას, რომელსაც კარის წინ დარჩენილი ზურაბ იონანიძის მოძებნა არ გასჭირვებია — 3:0.


შესვენების შემდეგ მასპინძლებმა კიდევ ერთი გოლის გატანა მოიწადინეს, მაგრამ სანამ მეოთხე გავიდოდა, სიმწვავე ისევ ვიეირას კუთხურს მოჰყვა — ედიკ საჯაიამ თავით, ხოლო იონამ ფეხით სცადა გატანა, მაგრამ მცველებმა და მეკარემ ივარგეს.

გასატანი 59-ე წუთზე გავიდა — მსაჯემი ნიკა კვასხვაძესთან ჭიდილში ლომიძე დაადანაშაულა და პენალტით იონამ იხეირა.

დარჩენილ დროში შეხვედრას ერთი ინტრიგა შემორჩა — გაუშვებდა თუ არა ჭანტურია გოლს...



ზურაბ იონანიძე დუბლით გამოირჩა



# პორტუგალია 11:11 საქართველო (3:17)

25 ნოემბერი. ლისაბონი. 19 საათი. მსაჯი: ტიმ ჰეისი (უელსი)



## დავდივით, არ გავბუდით, გავედი!

### ბორჯღალოსნების გუნდი მსოფლიოს თასს გაუზიარდა



AFP ლისაბონიდან

პორტუგალია, რუსეთი, ესპანეთი, ოდნავ ნერვიული მოლოდინი, ვერგატანილი ლელოები, გაცულებული გარდასახვები, ვერდაჭერილი პასები, ვერმოგებული თამაშები... ეს ყველაფერი უკან დარჩა...

წინა საფრანგეთი, ირლანდია, არგენტინა და ნამიბიაც, დიდი გუნდები, დიდი ბურთაობა, დიდი ჩემპიონატი, დიდი მღელვარება, ათრიოლებულ გულში აფეთქებული სიამაყე, როდესაც გაუკაც თანამემამულეებს უყურებ, სამშობლოს პიზნს ისმენ და იცი, მათ მსოფლიოს სხვადასხვა განათებულ თუ ჩაბნელებულ კუთხე-კუნძულებში შენსავით უყურებენ, შენსავით ისმენენ და გებულობენ, რომ ამ ბიჭების გატეხვა ძალიან ძნელი საქმეა — საქართველო მსოფლიოს თასზე ითამაშებს! ქართველთა გუნდი მსოფლიოს 20 საუკეთესო გუნდს შორისაა.

ხედიხდ მეორედ!  
არ იყო იოლი. ბოლო მეტოქედ პორტუგალია შეგვხვდა. 4 წლის წინ რუსეთზე გავლით გვერგო მსოფლიოს უძლიერეს გუნდებში გარევის პატივი. ახლა კი პორტუგალია... ამ ქვეყანას არაფერი დაუშავებია საქართველოსთვის და პორტუგალია მორაგბეთა ძლევა ალბათ ამიტომაც ვერ იქცევა ეროვნულ ზეიმად, მაგრამ აბა ბორჯღალოსნებს ვკითხვით — ადვილი იყო მათი დაჩოქება?

ქართველი „ლელოები“ შეათედ ერკინენ „ლობოსებს“. წინა ცხრიდან ჩვენებს 5 მოგვით და 4 წევრით. არცერთი იყო იოლი თამაში, ამ ზაფხულს 40:0 მოგებულიც კი არ იყო იოლი. სულ ბოლო მატჩი, მსოფლიოს თასის ბოლო საკვალი-ფიკაციო რაუნდის პირველი შეხვედრა 11 ნოემბერს ეროვნულზე 17:3 დამთავრდა და ცოტა გვინახავს ასეთი მძიმე და თავგანწირული კვე-

**პორტუგალია:** ლეალი, კარვალიუ, პორტელა, მატეუსი, აგილარი; მალიერო, პისარა; ვ. უვა (კაპ), მურიელი, კუტინიუ, გ. უვა, დორეი, კორეირა, სპაჩუკი, ფერიერა  
**სამხარეთისკენ:** კორდერიო, პენალვა, სევერინო, ფ. უვა, ჟ. პინტუ, კ. პინტუ, სოუზა  
**1 ლელო:** მატეუსი; **2 სპარტი:** მალიერო

**სამხარეთისკენ:** სოხაძე, მაჩხანელი, გიგაური, ი. გიორგაძე, ხამაშურიძე; ჯიმშელაძე, აბუსერიძე; უდესიანი, ლაბაძე, ურუშაძე, გორგოძე, ზედგინიძე (კაპ), ზურაბაშვილი, შველიძე, ხინგაგაშვილი  
**სამხარეთისკენ:** კუთარაშვილი, მაგრაქველიძე, დათუნაშვილი, 1 ლელო: ლაბაძე; 2 სპარტი: ჯიმშელაძე

თება. ეს იყო ნამდვილი ხორცსაკეპი და ყველამ და პირველ რიგში ბორჯღალოსნების გუნდმა კარგად იცოდა, რომ არც განმეორებითი ჯახი იქნებოდა ბულვარში ტაატი. შაბათს „ლობოსები“ თავებს იხრცავდნენ, ორი კვირის წინ თბილისში დაკარგულის ლისაბონში ამოღებას ცდილობდნენ. მაგრამ მაგრად იდგნენ ქართველები და იქ ჭედდნენ საკუთარ და სამშობლოს სიხარულს.

აქ კი დიდი მღელვარებით ველოდით ამ დღეს. შაბათს დაძაბულობამ პიკს მიაღწია, ვინ იცის, რა შეიძლება მომხდარიყო იქ, მოედანზე... ლისაბონში წვიმა იყო გამოცხადებული და ამის გამო რეპორტაჟმა ათიოდ წუთით დაიგვიანა. იქნებ სულ არ გადმოსცენ?! პირადად მე ათგან მაინც დაერეკე ერთი და იგივე ნერვიული კითხვით. მაგრამ აგერ, გამოჩნდა ლისაბონის მოედანი, მეტოქესთან დაჭიდებული 15 ქართველი დეკაცი და მღელვარებაც ცხრება. ხვდები, რომ ისინი მოედანზე ყველაფერს დადებენ და თავისას მაინც გაიტანენ.

ბორჯღალოსნები პალიკო ჯიმშელაძის საჯარიმოთი 3:0 იგებდნენ. გონსალო მალიერომ ასევე საჯარიმოთი მალევე გაათანაბრა 3:3, თუმცა მღელვარების საბაბი არც მაშინ გაგვიჩნია. ბორჯღალოსნები შეტევაზე გადავიდნენ და 7-8 მეტრამდე მივიდნენ სალელოვე მოედანთან, მაგრამ უელსელმა მსაჯმა ტიმ ჰეისმა გაუგებარი ჯარიმა მოგვიგონა და ბურთი მასპინძლებს დარჩათ. ქართველებმა მალევე უკან მოიპოვეს, შეტევაში ჯარიმაც მოინაგრეს და რა თქმა უნდა

კარში დაარტყეს. პალიკოს კვლავ გააქვს და საქართველო კვლავ წინაა — 6:3. ორი მატჩის ჯამში სხვაობამ კვლავ 17 ქულას უწია. პორტუგალიელთა სასახლოდ სათქმელია, რომ ისინი ამ 17 ქულას და ლონიერ ქართველებს არ ეპუებოდნენ და თავდავიწყებით იბრძოდნენ. ყოველ საჯარიმოზე საჯარიმოთი, ლელოზე კი ლელოთი გვაპასუხობდნენ, თუმცა ბორჯღალოსნებმა თავი დადეს და წინ მაინც არ გაუშვეს.

მატეუსმა ჯიმშელაძის მეორე საჯარიმოს რამდენიმე წუთში საჯარიმოთივე უპასუხა. მერე კი სტუმართა ჯერი დადგა. ქართველებმა მეტოქის 22-მეტრიან მოედანში აუტი მოიპოვეს. მართალია, ვერ მოიგეს, მაგრამ პორტუგალიელთა მხარეს გადავარდნილი ბურთი ყველაზე ასაკოვანმა და გამოცდილმა ბორჯღალოსანმა, 33 წლის ვია ლაბაძემ მოიხელთა და ცხოვრებაში ალბათ უმნიშვნელოვანესი ლელო დალო — 11:6.

პალიკომ ეს ლელო ვერ გარდასახა, მაგრამ ორი მატჩის ჯამში 19 ქულა მაინც გვარიანი უპირატესობა იყო. ბორჯღალოსნების მსოფლიოს თასამდე ტაიმინახევა არ ამორებდა, ბიჭებმა სულ ახლოდან დაინახეს მუნდიალი. ამის გამოც იყო, რომ ოდნავ ამჩატდნენ და მასპინძლებს აცა-ბაცა ბურთობაში აპყვენ. პორტუგალიელები ძალით ვერას გახდებოდნენ, სხვა შანსი არც ჰქონდათ, ხელდახელ უნდა შეეცაოთ და ასეც იქცეოდნენ. ამდერეულ წყალში ერთი ლელოც „დაიჭირეს“. მარჯვნიდან მი-

ედანენ სტუმართა დაცვას, შემდეგ კი სწრაფად გაათამაშეს ბურთი, ხაზი გაშალეს და მარცხენა კიდზე რიცხობრივი უპირატესობა დიოგო მატეუსმა ლელოდ აქცია. კვლავ გაათანაბრდა ანგარიში, მესამედ და საბოლოოდ — 11:11.

მალიერომ გარდასახვა ვერ გაიტანა, და საერთოდ, „ლობოსთა“ დამრტყმელს ამ ნერვიულ და ბევრისგადამწყვეტ თამაშში ფეხი უკანკალებდა. ტიმ ჰეისიც მალიმალ უბოძებდა საჯარიმოს დარტყმის უფლებას — ორი პირველი ტაიმის ბოლოს დაარტყა, ერთიც მეორეს დასაწყისში — მაგრამ ერთიც ვერ გაიტანა.

მეორე ტაიმში ქართველები გაცილებით დამშვიდებულები გამოვიდნენ მოედანზე. ჩანს, მწვრთნელებმა შესაბამისი მითითებები მისცეს და ბორჯღალოსნებიც რაციონალურად და პრაგმატულად ბურთობდნენ, იცოდნენ რასაც აკეთებდნენ და ყოველ წუთს უახლოვდებოდნენ დიდ მიზანს. არც ავანტიურისტული შეტევები წამოუწყიათ, მით უფრო რომ მსაჯმა სულ ცოტა ორჯერ მაინც პირადად შეაჩერა სტუმართა იერიში.

მასპინძლები კი მთლად გავეშდნენ, საჯარიმოებს აღარ ურტყავდნენ, 3-ქულიანები არას არგებდათ და 7-ქულიან ლელოსთვის აწყდებოდნენ ქართულ დაცვას. სულ ამოდ. მხოლოდ ერთხელ მიუახლოვდნენ მეტოქის ლელოს და მაშინვე უკუაგდეს დამცველებმა. ცაიტნოტში აღმოჩენილი მასპინძლები ხეირიანს ვეღარაფერს ახერხებდნენ. ანგარიშიც აღარ შეცვ-

ლილა, თუმცა კი კარგა ბლომად წამატებული ბოლო წუთები მიღად ნერვების თამაშად იქცა. ჰეისმა ორი ქართველი და ერთი პორტუგალიელი — ირაკლი მაჩხანელი, ლევან დათუნაშვილი და ფრედერიკო სოუზა გაასინბინა, მაგრამ რიცხუმრავლობაშიც არაფერი გამოუვიდა უკვე დამარცხებულ პორტუგალიას.

დამთავრდა! 11:11, ორი მატჩის ჯამში კი 28:14 მოიგეს ბორჯღალოსნებმა და სამწლიანი თავგადაღებული ბრძოლისთვის და შრომისთვის გადასარევი საჩუქარი უძღვნეს მშობლოს და საკუთარ თავებს. ქართული გუნდი, საქართველოს ნაკრები ზედიზედ მეორედ გაეგზავრება მსოფლიოს ჩემპიონატზე!

აუცილებლად გავიხსენოთ: პირველად მუნდიალზე ბორჯღალოსნების გუნდი ფრანგი მწვრთნელის კლოდ სორელის თავკაცობით გავიდა. ახლა კი ქართულ რაზმს ქართველებივე მეთაურობენ: მალხაზ ჭეიშვილი, დავით ჩავლეიშვილი და პაატა ნარიშკინაშვილი 2004 წლის გაზაფხულიდან წვრთნიან ნაკრებს და თუ უკეთ არა, არანაკლებ კარგად და გონივრულად. ესე იგი, ქართულ გონებასაც შესძლება დიდი გამარჯვების გამოთვლა და მიღწევა. აი, ფაქტი და მაგალითი.

დამახსოვრეთ ეს ხალხი, გმირი მორაგბეები, მწვრთნელები, მათი გვერდში მდგომები, მათი სახეები და სახელები. ერთად დაველოდოთ, რამდენიმე თვეში ისინი ფრანგულ მოედანზე მსოფლიოს უძლიერეს გუნდებს შევერკინებთან, იქიდან დაენახვებიან სარაგბო მსოფლიოს. გმირობა მარტო ყუმბარის 70 მეტრზე ტყორცნა და ტყვიისთვის მკერდის მიშვერა არაა. ესეც გმირობაა, ამ ხალხმა დიდი საერთო საქმე გააკეთა.

ირაკლი ფირაფხილი

# ოც გლეხმა უელსის გააზაპა ფრანგებმა იაზვილით დაიყივლეს

დიდი სარაგბო შაბათი ჩვენთვის საქართველოს ნაკრების მიერ პორტუგალიასთან ორმატრი დუელში გამარჯვებამ და მსოფლიოს თასზე გასვლამ გააღამაზა. „ბორჯღალოსანთა“ დარად მსოფლიოს თასზე თამაშის უფლება იაპონელებმაც მოიპოვეს, რომლებმაც აზიის შესარჩევი ზონის გადამწყვეტ მატჩში 54:0 განადგურეს სამხრეთ კორეელები. ხოლო მათ,

ვისაც მსოფლიოს თასის საგზური რანგის და გამო თავიდანვე ჯიბეში უდევთ, შაბათს ევროპაში დიდი ტესტობა მოაწყვეს — საფრანგეთს, ინგლისს, შოტლანდიასა და უელსს სამხრეთელი ბობოლეები სტუმრობდნენ და ჩრდილოეთისა და სამხრეთ ნახევარსფეროების სარაგბო დაპირისპირება სტუმართა უპირატესობით — 3:1 დასრულდა



სიტყვები სივრცეებში უელსელებს სამი ლელო გაუტანა

### საფრანგეთი 27:26 არგენტინა

„მამლებმა“ ერთბაშად ორი მარცხიანი სერია შეწყვიტეს. ერთი ის, რომ მათ აქამდე ზედიზედ ოთხჯერ წაეგოთ ბოლო ხანებში სწრაფად პროგრესირებდა „პუებტოს“ და მეორე კიდევ ის, რომ არგენტინასთან ამ მატჩამდე მომავალი წლის მსოფლიოს თასის მასპინძლებმა ორჯერ უმასპინძლეს ახალ ზელანდიას და ორივეჯერ კომპარული სხვაობით წააგეს.

ამჯერად ბერნარ ლაპორტას ბიჭებმა თავიდანვე შმაგად შეუტყეს ლათინოსებს. განსაკუთრებით ვეტერანი კრიტოვ დომინიკი და დიმიტრი იაშვილი აქტიურობდნენ. პირველმა ორჯერ დააღწია „პუებტოს“, ხოლო მიშელ იაშვილის შუათანა ვაჟმა გარდასახვა-საჯარიმოები ხომ ზუსტად ურტყა და მეორე ტაიმში ლელოც გაიტანა, რის შემდეგაც მასპინძლების უპირატესობა 27:9 გახდა.

არგენტინელებმა ამის შემდეგა დაამოილეს ხელი და გონსალო ლონგოსა და ხუან მარტინ ერანდესის ლელოებითა და გარდასახვა-საჯარიმოთი სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანეს, თუმც მტისთვის დრო აღარ ეყოთ და „სტად ფრანსუა“ შეკრებილმა პუბლიკამაც როგორც იქნა გაიზარა თავისიანთა გამარჯვებით.

### ინგლისი 14:25 საზხ. აფრიკა

ბოლო 22 მატჩში 13-ის წამებმა ინგლისმა ამ ერთი კვირის წინათ სამხრეთ აფრიკა კი დასცა და თითქოს თვალეში გამოიხედა, მაგრამ ზედიზედ მეორე გამარჯვების მოპოვება მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონებმა ვეღარ შეძლეს.

არადა, თვიქემის სარაგბო სტადიონის ტრიბუნებზე შეკრებილი 82 თასი ქომაგის გასახარად თამაში მასპინძლების უპირატესობით დაიწყო — მარკ კუეიტოს ლელოსა და ენდი გუდის სამ ზუსტ საჯარ

იმოს სტუმრებმა მხოლოდ სამი ქულით უპასუხეს და „ვარდებმა“ ტაიმი 14:3 მოიგეს, მაგრამ „ქურციკებმა“, რომლებიც ამ წუთისთვის სამხრეთის დიდი სამეულიდან, ალბათ ყველაზე სუსტები არიან, იუკადრისეს ზედიზედ მეორე თვიქემური მარცხი და შესვენების შემდეგ ჩვეული ძალისმიერი რაგობით გადათელეს ინგლისელები. ანდრე პრეტორიუსმა მეორე ტაიმის დასაწყისშივე საჯარიმოთი და არეკნით 6 ქულა გააკეთა, მერე სტუმრებმა ლელოც გაიტანეს, როგორც პრეტორიუსმა ზუსტად გარდასახა და ანგარიში 16:14 გახდა აფრიკელთა სასარგებლოდ. თამაში მეორე ანალოგიური სცენარით გაგრძელდა — ინგლისელებმა მეორე ნახევარი ბოლომდე მშრალად გალიეს და 14:25 წააგეს.



ფრანგებმა არგენტინულ კედელში რაფაელ იბანესის თვალით გაიხედეს

### შოტლანდია 15:44 ავსტრალია

2006 წელს შოტლანდიამ პირველად წააგო მშობლიურ მარჩვილში ეს მატჩიც თვიქემური სცენარით განვითარდა. თავიდან მასპინძლებმა იძალეს და საიმონ ვებსტერისა და კრის პატერსონის ლელოებით 10:0 დაწინაურდნენ. სქოთები ახმაურდნენ, 1982 წლის შემდეგ პირველად დავამარცხებთ ავსტრალიელებსო, მაგრამ სტივენ ლარკჰამის, სტივენ მურის, კროს ლეთემისა და სტივლინგ მორტლოკის ძალისხმევით „ვოლაბებმა“ მალევე შემოატრიალეს თამაშის ჩარხი და შესვენებისთვის ანგარიში უკვე 23:10 იყო სტუმრების სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში ოზები, რომელთაც ერთი კვირის წინათ ირლანდიაში მარცხის გამო რეაბილიტაცია სჭირდებოდათ, ბოლომდე მიაწვინეს სქოთებს, კიდევ სამი ლელო გაიტანეს, რაზედაც მასპინძლებმა ერთი, კვლავაც გარდაუსახავი ლელოთი უპასუხეს და მოედანი თავიანთი რუტებმა დატოვეს.

### უელსი 10:45 ახალი ზელანდია

41:20 ინგლისში, 47:3 და 23:11 საფრანგეთში და ახლა 45:10 უელსში — „ოლ ბლექსი“ სასწაულებრივ რაგობის თამაშობს და „შავეებმა“ ეს ტემპი მსოფლიოს თასამდე თუ შეინარჩუნეს, მათი შეჩერება შეუძლებელი იქნება.

კარდიფული მატჩის გმირი სიტყვები სივრცეებში იყო, რომელმაც სარაგბო ჰეთ თრიკი შეასრულა და სამჯერ დააღწია მასპინძლები. ამას ლუკ მაკალასტერისა და ერთი გუნდური ლელოც დაემატა, ეს ლელოები დენ კარტერმა და ნიკ ევანსმა გარდასახეს, ამას გარდა კარტერმა (16 ქულა) საჯარიმოებიც ზუსტად ურტყა და ამ ყველაფერს „წითლებმა“ ოდენ ორი ლელოთი უპასუხეს.

## საქართველოს მე-17 ჩემპიონატი ვაჟები. პირველი სრა



25 ნოემბერი

### სა თბილისი 41:17 სსსსუ-მამული

სა თბილისი: სეთურიძე, ანდრიაძე, ნიკიფაძე (გაიტანა 14 გოლი), გელა არაბული (5), ნატროშვილი (4), ფორაქიშვილი (4), გელაშვილი (4), ოსიყმაშვილი (3), გრიშკაშვილი (2), ქირია (2), სამარლანიშვილი (2), ქუთათელაძე (1), ლალანძე (1), სსსსუ-მამული: ხონელიძე, ადუაშვილი, შონია (7), გველეხიანი (4), მამაცაშვილი (2), ჩაჩანიძე (2), შალვაშვილი (1), დორეული (1)

### სტუ-შეგარდნი 29:23 ძარიშხალა

სტუ-შეგარდნი: სამყურაშვილი, რობაქიძე, ბერძენიშვილი (9), მსხვილიძე (6), ირაკლი ჩიქოვანი (5), გოგალაძე (3), გიორგი ჩიქოვანი (2), ტალახაძე (2), კობახიძე (1), საჯია (1), სიგუა, ამირან ყიფიანი  
ძარიშხალა: გიორგი ტორონჯაძე, ქანთარია, მელქოშვილი (8), სხიერელი (5), შაალიშვილი (4), ირაკლი ტორონჯაძე (3), ჩიხლაძე (2), მანძულაშვილი (1), მუმლაძე, ჯობაჯა, ალექო ამირანაშვილი, ოთარ ამირანაშვილი, ჯოსარიძე, ლობჯანიძე  
მსაჯეები: ინა ჭყუასელი, ნინო ელოშვილი  
საქართველოს ხელბურთის ასოციაციის დედეგატი: ვახტანგ ბერიაშვილი

## სტუ თბილისში დარჩა თელავა ჩაილურის წყალი დალია

მეორე წელია, რაც ქართული ხელბურთის ლიდერი „სტუ-შეგარდნი“ და „თელავი“ გაერთიანებას აპირებენ. ერთი შეხედვით, ეს საკვებით გასაგებ-გამართლებული ამბავი ჩანდა, რადგან ბიჭებს, სავარაუდოდ, მეტ-ნაკლებად ნორმალური ფინანსური პირობები შეექმნებოდათ და იქნებ ევროსარბიელზე წარმატების მეტი შანსიც გასწინებოდათ. მაგრამ იმედი იმედად დარჩა. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ თითქოსდა ორივე თვის წინ ყველაფერი მოგვარებული ჩანდა, თბილის-თელავური ალიანსი მაინც არ შედგა და ქვეყნის 16-გზის ჩემპიონი „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქარიშხალა“, ყოველგვარი „თელავის“ გარეშე ჩაერთო 2006-2007 წლების ხუთგუნდა შეჯიბრებაში.

ეგაა, პირველ ტურში თავიანთ უმთავრეს კონკურენტ „სკ თბილისთან“ თამაშზე სწორედ იმ ორგანიზაციების მიხედვით გამოუცხადებლობის გამო ჩემპიონებს 0:10 წაგება ჩაეთვალათ, თუმც ტექნიკოსთა მთავარი მწვრთნელი ირა-

კლი კვეციანი იხტობარს არ იტყვს, იმედია, ცხრა დეკემბერს მეორე წრის მატჩში გაიმარჯვებთ და ყველაფერი გამოსწორდებაო.  
ჩემპიონებს წინა ჩემპიონატის ვეტერანის პრიზიორ „ქარიშხალას“ ლამის მთელი ძირითადი შემადგენლობა შეემატათ — სწორედ ამ ზესოლიდური შევსებით ეიმედებათ ტიტულის შენარჩუნება.  
სადღეისოდ ჩემპიონატს დამაჯერებლად ლიდერობს „ხელბურთის კლუბი თბილისი“, რომელმაც ტექნიკოსთა ლიდერ გიორგი წიგვივადის გადაბირებით უზარმაზარი ძალა შეიძინა. „წიგვივა“ 34 გოლით ყველაზე წინაა ბომბარდირთა შორის, მეორეა ქარიშხალის ზურაბ მელქოშვილი — 24, ხოლო მესამე „იმედის“ ფორვარდი — ავთანდილ ულენტი — 21.

გია ახალაძე

სატურნირი პითარება

სკ თბილისი	4	0	0	128:67	8
სტუ-შეგარდნი	2	0	1	67:52	4
იმედი	1	1	1	87:92	3
ქარიშხალა	0	1	2	66:87	1
სსსსუ-მამული	0	0	3	57:107	0



# რუსთაველი გაემოსდა თსუ-მ აზობი ჩააფიქრა



ზვიად ბაბიაშვილმა (ბურთით) „დინამოს“ დაცვა გაარღვია

მ. შარაძე - რეპორაჟის ფოტო

25 ნოემბერი  
საქართველოს სასახლე  
სტუ 96: 85 მაკაბი  
17:26 28:15 29:20 22:24

სტუ. კოსტოვი (2), ბერაია (3), დამიურაძე (10), ბარბაქაძე (4), ახალაძე (13), ბაბუნაშვილი (2), ლ. ნოზაძე (7), ზვინაძე (5), დევიძე (2)

მაკაბი: დოლიძე (6), კორკოტაძე (3), ვაშაყიძე (5), ს. შერმადინი (19), გ. შერმადინი (39); ცერცვაძე (6), ხორავა (2), ხიზანიშვილი (5), კორძაძე, პირველ-შვილი

მსაჯეები: მკა კუპაძაძე, დავით არეშიძე  
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

ავიარაგები 105:72 დინამო  
29:25 27:15 29:10 20:22

ავიარაგები: ი. ბერიშვილი (11), ხოშტარია (13), დ. ბარბაქაძე (5), ბაბიაშვილი (15), სუხიშვილი (8), დბერიშვილი (16), კვიციანი (19), ნინიაშვილი (14), მოსეშვილი (4)

დინამო: გულსაბუღაშვილი (2), ბადრიძე (12), ლაფანაშვილი (15), გვირაძე (6), კოლუაშვილი (9); მურჯიკიანი (11), ფაჩიძე (5), ნ. ნოზაძე (3), ბოლქვაძე, კეშელაძე, გაბაშვილი, სიგუა

მსაჯეები: ზაზა მანაძე, მალაზა ანდლუაძე  
კომისარი: როლანდ გელოვანი

### ირაკლი პერტანი

რაც ამ ტურში საინტერესო იყო, ქომბემა რუსთაველი იხილა, თბილისურ მატჩებში კი უინტერესო წყვილები თამაშობდნენ და საყურებელიც არაფერი ყოფილა. პარასკევს მეტალურგთა ქალაქში გამართული შეხვედრა ვერჯერობით საუკეთესოა მიმდინარე ჩემპიონატში — „აზობს“ თსუ რუსთაველი

ეომ და რომ ვერ მოიგო, საკუთარ თავთან ერთად იღბალსაც უნდა დააბრალოს.

„აზობი“ ჯერ კიდევ გასულ სეზონში არ აგებდა შინ და ახლა, როცა ყველა გუნდზე ერთი თავით მალდა ჩანს, მათი ქიმიკოსთა დარბაზში წაგება თითქმის წარმოუდგენელია. არ მოუგია, მაგრამ ქვემოქართულთა შინ დაუმარცხებლობის მითი უკვე დაამსხვრია თსუ-მ, რომელიც პირველ წრეში „აზობს“ იოლად დაჩაგვრინა და „ავიამშენსაც“, მაგრამ პარასკევს რუსთაველი ისე იბრძოლა, მოგებას ალაღად იმსახურებდა.

თსუ ზუსტი ანალოგია შარშანწინდელი სტუ-სი, რომელიც წამიერი აფეთქების გუნდს ჰკავდა. ნუგზარ ჭეიშვილის გაწვრთნილი ტექნიკოსები მეტოქეს ნაჯაფარის წრეებში წყალში უყრიდნენ. დაცვა და სწრაფი კონტრშეტევა — აი, იმ სტუ-ს მთავარი კოზირი და ჭეიშვილმა ეს იარაღი ამ თსუ-შიც მოიტანა. სტუდენტებმა „აზობს“ რუსთაველი სადებიუტო ჩამორჩენა სწრაფი თამაშით გაუბათილეს, მაგრამ რაც მეორე მეოთხედში მოიმოქმედეს, საქართველოს ჩემპიონატში იშვიათად მომხდარა. „აზობი“ 9 ქულით იგებდა, როცა თსუ ერთიანად აფეთქდა — ჭეიშვილის ყველა შეგირდი იშტაზე მოვიდა და პირველი ნახევრის დამთავრე-

ბამდე დარჩენილი წუთები სტუდენტებმა 24:3 (!) მოიგეს.

